ხელშეკრულება # II - 1/182

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 15 ოქტომბერი 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ლევან ძნელაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, სს „გუდვილი" მისი გენერალური დირექტორის ბესიკ ჯიქურაულის სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საკუთარი შემოსავლების სახსრებიდან, წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში, რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობები (CPV55300000).

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საპატიო სტუმრებისათვის სადილის ორგანიზება.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება დანართი #1-ის შესაბამისად (20 ადამიანზე) შეადგენს 850.00 (რვაასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. მომსახურების შესყიდვის ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების მოწოდების ვადა: 2014 წლის 15ოქტომბერი.

3.2. მომსახურების მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #3.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემოწმებით თუ გაწეული მომსახურება აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერითა და ბეჭდით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

4.2. მომსახურება ჩაითვლება სრულად შესყიდულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. მომსახურების შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე 10 საბანკო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

6.2.2. გაწეული მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

6.4.2. გაწეული მომსახურების ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

6.4.3. გასწიოს მომსახურება საკუთარი ძალებითა და ტექნიკური საშუალებებით;

6.4.4. წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

6.4.5. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს მომსახურების უხარისხოდ ან არაჯეროვნად გაწევის გამო.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების, ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1% ყოველ გადაცილებულ დღეზე.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.

7.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ვალდებულებისაგან.

7.5. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვისგასაწევი მომსახურების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ნათია ხულუზაური - დირექციის აპარატის უფროსი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

11.2. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

13. დასკვნითი დებულებანი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი"
საიდენტ: 204468664
მის: თბილისი, რუსთაველის გამზ. #3.
ტელ: 298 21 35.
სს „თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE54TB06 0000 0711 700 711

„მიმწოდებელი"

სს „გუდვილი"
მის/იურიდ: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #9.
მის/ფაქტ: ქ. თბილისი, დ. დიღომი, ფარნავაზ მეფის 1.
ტელ: 577 38 45 21, 577 38 45 19 (მარი, ქეთი).
საიდენტ: 206343991
სს „თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE61TB 3615 3360 2010 0004

ლევან ძნელაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

ბესიკ ჯიქურაული
გენერალური დირექტორი

დანართი №1.

№	საქონლის/მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	სულ თანხა (დღგ-ს ჩათვლით)
1	კანაპე ლორით და ყველით	ცალი	10	1,80	18,00
2	კანაპე სალიამით	ცალი	10	2,30	23,00
3	კანაპე ყველი სოკოთი	ცალი	10	1,80	18,00
4	კანაპე კალმახით	ცალი	10	2,00	20,00
5	კანაპე სიომგით	ცალი	10	2,80	28,00
6	ტარტალეტკა ისპანახით	ცალი	20	1,50	30,00
7	ტარტალეტკა ქათმის სალათით	ცალი	20	1,50	30,00
8	კნედლი ყველი ქოქოსით	ცალი	20	1,00	20,00
9	სოკოს ქუდები ბოსტნეულით	ცალი	20	1,00	20,00
10	პომიდორი ჩერი მდნარი ყველით	ცალი	20	1,00	20,00
11	სიომგას მწვადი კრევეტით	ცალი	10	3,00	30,00
12	მწვადი ქათმის ფილეთი	ცალი	20	1,50	30,00
13	კრეპე საქ.ხორცით	ცალი	10	1,00	10,00
14	კრეპე სულგუნით და ხაჭოთი	ცალი	10	1,00	10,00
15	მინი ხაჭაპური (ნახევრადფენოვანი)	ცალი	10	0,60	6,00
16	მინი ლობიანი (ნახევრადფენოვანი)	ცალი	10	0,50	5,00
17	ხილის ნამცხვარი შოკოლადით პიროტინებში	ცალი	10	1,00	10,00
18	ტირამისუ ფურშეტის პიროტინებში	ცალი	10	1,00	10,00
19	ეგზოტიკური ხილის ასორტი	ცალი	1	50,00	50,00
20	წყალი სნო პეტი (0,5 ლ)	ცალი	14	0,40	5,60
21	წვენი ფორთოხალი (1 ლ)	ცალი	3	3,79	11,37
22	წვენი ანანასი (1 ლ)	ცალი	3	3,79	11,37
23	წვენი ალუბალი (1 ლ)	ცალი	3	3,79	11,37
24	ღვინო წინანდალი თეთრი (0,75ლ)	ცალი	4	10,27	41,08
25	ხელსახოცი	ცალი	1	1,95	1,95
26	ინვენტარის გაქირავება - სუფრა	ცალი	2	20,00	40,00
27	ინვენტარის გაქირავება - მაგიდა	ცალი	2	20,00	40,00
28	ინვენტარის გაქირავება - სადგამები	ცალი	3	19,75	59,26
29	ინვენტარის გაქირავება - თეფში	ცალი	20	0,50	10,00
30	ინვენტარის გაქირავება - წვენის ჭიქა	ცალი	20	0,50	10,00
31	ინვენტარის გაქირავება - ღვინის ჭიქა	ცალი	20	0,50	10,00
32	მომსახურება	მიმტანი	3	60,00	180,00
33	ტრანსპორტირება	რეისი	1	30,00	30,00
	სულ სახელშეკრულებო ღირებულება:				**850,00**

ლევან ძნელაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

ბესიკ ჯიქურაული
გენერალური დირექტორი